საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011799659631717

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 373631

11 / სექტემბერი / 2017 წ.

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 261
თარიღი: 14 09 2017 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (საიდენტიფიკაციო ნომერი 406077579) დირექტორს პაატა გაფრინდაშვილს (პირადი ნომერი 01004001666)

მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №27

ბატონო პაატა,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჯარო ინფორმაციის გაცემის თხოვნით წარმოდგენილი თქვენი 2017 წლის 7 სექტემბრის №353 (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 08.09.2017; რეგისტრაციის ნომერი: 485762/17) განცხადების თაობაზე გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

ამასთან, თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჭიროებს სააგენტოს რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იტოვებს უფლებას, აღნიშნული ინფორმაციის გაცემისათვის ისარგებლოს 10 დღიანი ვადით.

პატივისცემით,

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი)

დ.დევიძ

დავით დევიძე